საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16-ა-ს მიმდებარედ, 6 სართულიან საცხოვრებელ მშენებარე სახლზე 1 სართულის დაშენებასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.

შ.პ.ს. „ჩიკო“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16-ა-ს მიმდებარედ, მშენებარე 6 სართულიან საცხოვრებელ სახლზე 1 სართულის დაშენებასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16-ა-ს მიმდებარედ, მშენებარე 6 სართულიან საცხოვრებელ სახლზე 1 სართულის დაშენებასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „გეოძიება“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2017 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი გ. იაშვილი. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტების თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 5 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე მშენებარე 6 სართულიან საცხოვრებელ სახლს ემატება ერთი სართული. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 1 შურფ-ჭაბურღილი, საიდანაც აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია თიხნარების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. ისინი წარმოადგენენ მშენებარე სახლის ფუძე-გრუნტებს. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა ყველა საჭირო მონაცემებს, რათა გამოთვლილი იქნას დაშენების შედეგად გამოწვეული გრუნტის ამტანუნარიანობის სიდიდეები.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16-ა-ს მიმდებარედ, მშენებარე 6 სართულიან საცხოვრებელ სახლზე 1 სართულის დაშენებასთან დაკავშირებით, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/